

შპს „ბურგერ ლომები“

(ს/კ 405414537) -ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ბურგერ ლომები“ ს.კ 405414537

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1. ფინანსური ანგარიშგება

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ზოგადი ინფორმაცია;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები.

შპს „ბურგერ ლომები“ ს.კ 405414537

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა				
ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	155807	184447	82037

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	5922	14424	6579
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	6722	0	0
მარაგები	4	73449	8989	12083
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		73449	8989	12083
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	56445	23098	33408
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	6	216783	130873	56495
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		515128	361831	190602
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	14096	32145	0
ანარიცხები		0	399	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	7843
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	41032	2214
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		0	295	0
სულ ვალდებულებები		14096	73871	10057
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		180545	0	0
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		320487	287960	180545
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0

სულ საკუთარი კაპიტალი		501032	287960	180545
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		515128	361831	190602
სულ მოკლევადიანი აქტივები		287960	230958	134107
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14096	73871	10057
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები		0	0	0

შპს „ბურგერ ლომები“ ს.კ 405414537

მოგებისა და ზარალის და და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	8	4949361	2718874
საქონლის გაყიდვიდან		4949361	2718874

მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	9	-2779577	-1986985
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		2169784	731889
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	5256
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	-699932	-163898
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	11	-45835	-23096
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	12	-3555	-2974
იჯარის ხარჯი	13	-104250	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-987244	-439762
სულ საოპერაციო ხარჯები		-1840816	-624474
საოპერაციო მოგება		328968	107415
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		630	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		329598	107415
მოგების გადასახადის ხარჯი		-74557	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		255041	107415
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		255041	107415
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის		287960	180545

დასაწყისში			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-421053	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		379084	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		501032	287960
კვლევისა და განვითარების ხარჯები		0	0

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბურგერ ლომები“ ს.კ 405414537

შპს „ბურგერ ლომები“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ს/ნ 405414537, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2020

წლის 30 სექტემბრიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პეტრე ჭავჭავაძის ქუჩა, N 27, ბინა 50.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი: ნიკა სამადაშვილი, პ/ნ 12001053853; შპს ეწევა საკვები პროდუქტების წარმოებასა და რეალიზაციას. სუბიექტის საქმიანობის სფერო : 56100 - რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ამონაგების აღირება

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც:

- შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი.

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის

ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმომშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. აღრიცხული შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ინდივიდუალურად, გრძელვადიანი აქტივის დანიშნულებისამებრ მოხმარებიდან გამომდინარე.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და

ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	155807	184447	82037

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულის ნაშთს სალაროსა და ბანკში. კერძოდ:

სალარო - 31 250 ლარი

ბანკი - 124 557 ლარი

სულ: 155 807 ლარი

2. სავაჭრო მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	5922	14424	6579

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლიდან. კომპანიის მიერ წარმოებული საკვები პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები არიან ფიზიკური პირები, ასევე კომპანია გაყიდვების გაზრდის მიზნით თანამშრომლობს საკურიერო კომპანიებთან (გლოვო, ბოლტი). კომპანია აკვირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის ტენდენციას და საჭიროების შემთხვევაში პერიოდის ბოლოს საექვო მოთხოვნებზე ანარიცხებს ქმნის. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიამ საჭიროდ არ ჩათვალა შეექმნა სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები.

3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	6722	0	0

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

4. მარაგები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მარაგები	4	73449	8989	12083

მარაგები მოიცავს საკვები პროდუქტების საწარმოო პროცესისთვის შეძენილ ნედლეულსა, მასალებსა და საწვავს.

5. სხვა მოკლევადიანი აქტივები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	56445	23098	33408

სხვა მოკლევადიანი აქტივები მოიცავს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედეგად წარმოქმნილ საგადასახადო ზედმეტობასა და სსიპ საპენსიო სააგენტოში წინსწრებით გადახდილ თანხას.

6. ძირითადი საშუალებები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ძირითადი საშუალებები	6	216783	130873	56495

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადი საშუალებების დიდ ნაწილს წარმოადგენს საწარმოო პროცესისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

იხილეთ გრძელვადიანი აქტივების ცხრილი:

N	დასახელება	საწყისი საბალანსო ღირებულება	დარიცხული ცვეთა	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
1	მანქანა-დანადგარები	172 638,61	28 108,56	144 530,05
2	ოფისის აღჭურვილობა	9 834,65	2 008,05	7 826,60
3	ავეჯი და სხვა ინვენტარი	74 948,46	15 631,03	59 317,43
4	ხე-მცენარეები	5 196,61	87,85	5 108,76
	სულ:	262 618,33	45 835,49	216 782,84

7. სავაჭრო ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	7	14096	32145	0

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე სამეურნეო ვალდებულებებისგან.

8. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	8	4949361	2718874

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება ფიზიკური პირებიდან მიღებული შემოსავლიდან და ასევე საშუამავლო/საკურიერო მომსახურების გამწევი კომპანიებიდან.

9. გაყიდვების თვითღირებულება

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
გაყიდვების თვითღირებულება	9	-2779577	-1986985

გაყიდვების თვითღირებულება მოიცავს პროდუქციის წარმოებასთან და გაყიდვებთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

10. დასაქმებულთა ანაზღაურება

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	-699932	-163898

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 29 თანამშრომელს.

11. ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	11	-45835	-23096

აღნიშნული ხარჯი შეადგენს 2024 წელს ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს. (იხილეთ განმარტება N6)

12. საპროცენტო ხარჯი

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
საპროცენტო ხარჯი	12	-3555	-2974

კომპანიას მიღებული ჰქონდა საბანკო სესხი, რომლის ძირი და პროცენტი სრულად დაიფარა 2024 წლის განმავლობაში.

13. იჯარის ხარჯი

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
იჯარის ხარჯი	13	-104250	0

კომპანიას საკვები პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით გახსნილი აქვს ფილიალები. არსებული ფართები კომპანიის მიერ აღებულია საიჯარო ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში.

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

საქმიანობის შედეგები		31/12/2024	31/12/2023
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	-987244	-439762

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები აერთიანებს სხვადასხვა ხარჯებს, მათ შორისაა: საკონსულტაციო მომსახურება, კომუნიკაციის ხარჯი, კომუნალური ხარჯი, დაზღვევა, და ა.შ.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით 100 ლარამდე ღირებულების ნივთი აღირიცხება საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

არსებული ფინანსური და მენეჯერული ინფორმაციიდან გამომდინარე, კომპანია აგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2025 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:



ნიკა სამადაშვილი , (პ/ნ 12001053853)

